

## კვლევის შეჯამება

კვლევის მიზანი საქართველოში ადამიანის უფლებების კუთხით არსებული სიტუაციის მიმოხილვა იყო. კვლევა სამი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილის მიზანი ადამიანის უფლებების სიტუაციის ზოგადი მიმოხილვის მომზადებაა საქართველოს მოსახლეობის აზრებისა და ხედვების აღწერის საფუძველზე. გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი მეთოდი, კონკრეტულად, ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული პირისპირი ინტერვიუები. პასუხები გაანალიზდა საცხოვრებელი ადგილის, ასაკობრივი ჯგუფების, განათლების დონის და სხვა ეკონომიკური ფაქტორების მიხედვით. კვლევის მეორე, თვისებრივი ნაწილი დაეთმო ექსპერტების შეფასებებს. ამის მიზანს წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, თუ როგორ ხედავდნენ ექსპერტები ადამიანის უფლებების მდგომარეობას საქართველოში და მოგვეპოვებინა ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების, სამთავრობო ინსტიტუტების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და მედიის აქტივობების შესახებ ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის და გაშუქების კუთხით. უახლესი ცვლილებები და მომავალი გეგმები ასევე იქნა შესწავლილი. თვისებრივ ნაწილს უნდა შეევსო ამავ საკითხზე მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვა კვლევის ბოლო ნაწილი აჯამებს ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების მოსაზრებებს საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ. დამოუკიდებელი ექსპერტების პოზიციები ასევე იქნა გამოყენებული მონაცემთა შესავსებად.

საქართველოში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის კონსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმების და ადამიანის უფლებების სფეროში, თომას ჰამარბერგის აზრით, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო მეორე ტრანზიციის პროცესს გადის. ეს ეტაპი დაიწყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებით, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის პირველი პრეცედენტი იყო. ახალ მთავრობას მემკვიდრეობით ერგო ადამიანის უფლებების სფეროში არსებული რიგი პრობლემები და მათ მოგვარებაზე ზრუნვა დაიწყო. ექსპერტების თქმით, წინ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, თუმცა ისინი არ იყო საკმარისი და გარკვეული რეგრესივ შეინიშნა.

საქართველოს მოსახლეობაში ადამიანთა უფლებების შესახებ ცნობიერება არ არის მაღალი. ექსპერტები ხაზს უსვამენ განათლების ხარისხის პრობლემას, განსაკუთრებით კი ადამიანთა უფლებების სფეროში და ამბობენ, რომ სამოქალაქო განათლება სუსტია. შედეგად, ტერმინი “ადამიანის უფლებები” ქართველებისთვის ბუნდოვანი იყო და გამოკითხულთა 14%-მა ვერ შეძლო მისი განსაზღვრა. ყველაზე ხშირი პასუხი(24%) იყო უბრალოდ “ადამიანის უფლებების დაცვა ცხოვრების ყველა სფეროში”. თუმცა დომინანტური იყო პოზიცია, რომ ადამიანთა უფლებებს მათ ქვეყანაში პატივს არ სცემენ.

ზემოთხსენებულ საკითხზე ქალების პოზიცია უფრო ნეგატიური იყო, ვიდრე

მამაკაცების, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია ქალთა მძიმე ყოფით ქართულ საზოგადოებაში. ექსპერტებმა დაასახელეს რამდენიმე პრობლემა, რომლებიც უკავშირდებოდა ძალადობას, ჩავრას, ქალთა გამორიცხვას სოციალური ცხოვრებიდან გამომდინარე იქიდან, რომ ქალი აღქმულია, როგორც მეოჯახე და საზოგადოების არათანასწორი წევრი. ექსპერტებმა დაამატეს ისიც, რომ მშობიარობის შემდეგ ქალებს არ აქვთ ადეკვატური ფინანსური მხარდაჭერა. რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ ასევე გამოხატა შეშფოთება საქართველოში ქალთა მდგომარეობის შესახებ. ომბუცმენის მიერ ხაზგასმული პრობლემები შეეხებოდა სოციალური და პოლიტიკური ჩართულობის დაბალ ხარისხს, სკოლის მიტოვების მაღალ მაჩვენებელს და ქალთა მიმართ გავრცელებულ ძალადობას.

ზოგადად, ქართული საზოგადოების ძირითადი პრობლემა სოციალური, ეკონომიკური და მატერიალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, რომელიც არ არის მიჩნეული ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისუფლებად. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ტერმინი “ადამიანის უფლებები” არ არის მართებული გაგებული და მძიმე სოციო-ეკონომიკური სიტუაცია აიძულებს ადამიანებს პრიორიტეტი სხვა ღირებულებებს მიანიჭონ. ამავე დროს, ადამიანის უფლებების უნივერსალურობასთან დაკავშირებული კითხვის პასუხად ნახსენები იყო ფუნდამენტური უფლებები, სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით კი - შრომის უფლება. ექსპერტები საუბრობდნენ ასევე მშრომელთა უფლებების დარღვევაზე. საქართველოში იყო რიგი შემთხვევები, როცა დასაქმებულებს არ ჰქონდათ უსაფრთხო სამუშაო პირობები ან მათი შრომა გამოყენებულ იქნა არამიზნობრივად.

ბავშვთა, სექსუალური და რელიგიური უმცირესობების უფლებები მოსახლეობის გამოკითხვისას არ იქნა დასახელებული, თუმცა ეს თემები უმადლოესი განათლების მქონე ადამიანებისთვის, ისევე, როგორც ექსპერტებისთვის და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის საკმაოდ პრობლემურ საკითხად განიხილება. უსახლკარო ბავშვების დიდი რაოდენობა მნიშვნელოვანი პრობლემაა. UNICEF-ის მიხედვით 2012 წლისთვის ქუჩაში 1,500 ბავშვი ცხოვრობდა. პრობლემურია ბავშვთა სახლების მდგომარეობაც, რომელიც, საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში გაუმჯობესდა ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლების აშენებით.

თვისებრივ კვლევაში სექსუალური უმცირესობების უფლებების დარღვევა არაერთხელ იქნა ნახსენები. მაგალითად კი მოყვანილი იქნა 2012 წლის 17 მაისს LGBT თემის მიერ გამართული დემონსტრაცია, რომელიც გადაიზარდა ძალადობრივ კონფლიქტში დემონსტრანტებსა და მართლმადიდებლური ეკლესიის წევრებს და მხარდამჭერებს შორის. ამ მოვლენამ განაპირობა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება საქართველოში. თავდაპირველად ამ კანონს უნდა შემოეღო ერთგვარი ზედამხედველის, ინსპექტორის პოზიცია, რომელსაც ექნებოდა უფლება მიეღო და გამოეძიებინა საჩივრები და ბრალდებები, თუმცა კანონის საბოლოო ვერსიაში ეს ნაწილი აღარ

ფიგურირებს. კანონს დაემატა სპეციალური მუხლი მართლმადიდებლური ეკლესიის შესახებ, რომელიც აყალიბებს განსაკუთრებულ ურთიერთობას ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ეს ფაქტი გააკრიტიკა “ამნესტი ინტერნეშენალმა”, რომელმაც სახელმწიფოს მოუწოდა ახალი კანონის უფრო ეფექტური გამოყენებისაკენ.

მართლმადიდებლური ეკლესიის ძლიერ პოზიციას საზოგადოებაში მივყავართ რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციამდე, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 17% თვლიდა, რომ არსებობს პრობლემები რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. პრობლემას გაცილებით სერიოზულად უყურებენ ექსპერტები და საერთაშორისო ორგანიზაციები. Human Rights Watch-მა აღნიშნა შემთხვევები, როცა მართლმადიდებლური ჯგუფები ხელს უშლიდნენ მუსულმანებს ღვთისმსახურების აღსრულებაში. ამას გარდა, რიგ სახელმწიფო სკოლებში მართლმადიდებლური რელიგიისგან განსხვავებული რწმენის მოსწავლეები მასწავლებლებისგან განიცდიდნენ ზეწოლას. ასევე, ადგილი ქონდა შევიწროვებისა და დამცირების ფაქტებს.

გასაკვირია რიცხვი ადამიანებისა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ აწუხებთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებები, რაც შეიძლება დაუკავშიროთ ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების აქტივობებს ბოლო პერიოდში. მთავრობის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა გაიზარდა, თუმცა არა საკმარისად. აშშ-ს მიერ მომზადებულ ანგარიშში ასევე აღინიშნა, რომ შშმ პირთა მიმართ დისკრიმინაცია კვლავ გრძელდება სხვადასხვა სფეროში.

კითხვაზე, თუ ვის მიმართავდნენ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, გამოკითხულთა მეოთხედმა პასუხად სასამართლო დაასახელა. ეს მაჩვენებელი არ არის ძალიან მაღალი. ამის მიზეზი კი შესაძლოა სასამართლოში არსებული პრობლემები იყოს. საერთაშორისო ორგანიზაციები აკრიტიკებდნენ სასამართლოს არასაკმარისი დამოუკიდებლობისთვის, რის გამოც მოსახლეობაში სასამართლოს მიმართ ნდობის ხარისხი დაბალია. იგივე კითხვა ასახავს ქართულ საზოგადოებაში არსებულ მეორე სერიოზულ პრობლემას. პატიმართა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს დაუკავშირდებოდნენ უფლებების დარღვევისას. რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები და სახალხო დამცველი აკრიტიკებდნენ სიტუაციას საპატიმროებში, დასახელოდა პატიმართა ჩავჯვრის და შეურაცხყოფის არაერთი შემთხვევა. საბედნიეროდ, აშშ-ს ანგარიშის თანახმად, პატიმართა წამების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა.

მოსახლეობის 85%-თვის ადამიანთა უფლებების შესახებ ინფორმაციის მთავარ წყარო მედიაა. ამგვარად, პოზიტიურია ფაქტი, რომ ქართულ მედია კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო საზოგადოებრივი მაუწყებლის დემოკრატიზებას და დაამკვიდრა მოთხოვნა,

რომ საკაბელო თუ სატელიტურმა პროვაიდერებმა გადმოსცენ ყველა საინფორმაციო არხი. ეს მოსახლეობას აძლევს საშუალებას, მეტი ინფორმაცია მიიღოს. ამავე დროს, ექსპერტები წახან ჟურნალისტიკის ხარისხზე, რადგან სკანდალები უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე ინფორმაციული და დაბალანსებული დისკუსიები. შედეგად, მედია ადეკვატურად არ წარმოაჩენს ქვეყანაში მიმდინარე განვითარების სურათს.

ექსპერტების ძირითადი რეკომენდაციები შეეხება საკანონდებლო რეფორმის განხორციელებას, რათა კანონები არ მოდიოდნენ წინააღმდეგობაში კონსტიტუციასთან და უზრუნველყონ მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების სათანადო დაცვა. ხაზი გაესვა ზოგადი ცნობიერების გაზრდის საჭიროებას, რომელშიც უფრო აქტიური როლი უნდა ითამაშონ მედიამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა. მთავრობაც უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მისი ეკონომიკური აქტივობები მიმართული იქნება დროულ და მართებულ შედეგებზე. სოციალური პრობლემების აღმოფხვრაზე მიმართულ ეკონომიკურ აქტივობებს ექნებათ პოზიტიური გავლენა ეგალიტარული, დისკრიმინაციისგან თავისუფალი საზოგადოების ფორმირებაზე.